მთავრობის კანცელარიაში ლევან ვარშალომიძისა და მთავრობის წევრების შეხვედრა გაიმართა…



საქართველოს მთავრობის კანცელარიაში ლევან ვარშალომიძისა და მთავრობის წევრების შეხვედრა გაიმართა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, შეხვედრაზე გადაიჭრა ყველა ის პრობლემატური საკითხი, რომელიც რეგიონთან დაკავშირებით არსებობდა. მისივე თქმით, ძირითადი პრობლემები იყო დოკუმენტაციის ხელმოწერასთან და სერტიფიცირების საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, როგორც ლევან ვარშალომიძემ აღნიშნა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეხვედრები კვარტალში ერთხელ გაიმართება. "შეხვედრაზე ვისაუბრეთ პრობლემატურ საკითხებზე. გადაწყდა, რომ აჭარის მოსახლობასა და მეწარმეებს გარკვეული დოკუმენტაციისთვის თბილისში ჩამოსვლა არ მოუწევთ. კონკრეტული საკითხები არსებობდა სერტიფიცირებასთან დაკავშირებით, მაგალითად იმისთვის, რომ ადგილობრივმა მეწარმემ გაიტანოს მანდარინი, აიღოს ნებართვა მეურნეობის წარმოებაზე, ნებართვა თბილისიდან იყო საჭირო. შეხვედრები იქნება მუდმივი", - განაცხადა ლევან ვარშალომიძემ.
შეხვედრას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი, ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გოგა ხაჩიძე, აგრეთვე, “საქაერონავიგაციის” ხელმძღვანელი გიორგი კარბელაშვილი დაესწრნენ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან – კულტურის მინისტრი მათე ტაკიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ემზარ ძირკვაძე, ფინანსთა მინისტრი ვაჟა ბოლქვაძე, ჯანდაცვის მინისტრი ლევან ანთაძე.
ლევან ვარშალომიძემ აჭარისთვის ადმინისტრაციული უფლებამოსილების დელეგირების მინიჭების საკითხი რამდენიმე დღის წინ გამართულ ბრიფინგზე დააყენა.

მთავრობის კანცელარიაში ლევან ვარშალომიძისა და მთავრობის წევრების შეხვედრა გაიმართა…